ნომერი: 12-01191571009-60
თარიღი: 06.06.2019 12:25
ვადა: 06.07.2019

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 10-01191562668 განცხადების თარიღი: 05.06.2019
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადება/ნომენკლატურა

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

გზავნილი შპს „დემაქს დიღომის“ დირექტორის ლევან შელიას საჩივარზე ბრძ 694

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
№ 12-01191571009-60
06.06.2019 : 12:25
ქ. თბილისი 0160, ზ.შარტავას ქ. N7

წერილის ნომერი: **10-01191562668**
თარიღი: **05/06/2019**
პინი: **4698**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, გეგზავნებათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შპს „დემაქს დიღომის“ დირექტორის ლევან შელიას მიერ წარმოდგენილ №19/0119130634-01 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2019 წლის 5 ივნისის №694 ბრძანების სახით.

დანართი: 7 (შვიდი) ფურცელი

პატივისცემით,

ჯუმბერ ყანდარელი

იურიდიული საქალაქო სამსახური-
ადმინისტრაციული დავების განხილვისა და
სამართლებრივი აქტების მომზადების
განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერია

ბრძანება №694

„5“ ივნისი 2019 წ.

შპს „დემაქს დიღომის“ დირექტორის ლევან შელიას
ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე

2019 წლის 10 მაისს შპს „დემაქს დიღომის“ დირექტორმა ლევან შელიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინა №19/0119130634-01 ადმინისტრაციული საჩივარი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის (შემდგომში - ,,არქიტექტურის სამსახური“) 2019 წლის 24 აპრილის №4475152 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე და 181-ე მუხლებთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ, ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად, ადმინისტრაციულ საჩივარზე გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, 2019 წლის 30 მაისს გაიმართა ზეპირი მოსმენის სხდომა, რომელზეც გამოცხადდნენ: საჩივრის ავტორის, შპს „დემაქს დიღომის“ წარმომადგენელი, დავით ბაირამაშვილი და მოწინააღმდეგე მხარის, არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი, იოსებ ხუბულური.

წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნულია, რომ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი არ ითვალისწინებს არც სართულების დაშენებას და არც ობიექტის განაშენიანების ფართობის ცვლილებას 20%-ზე მეტად ან ამ ობიექტის ფუნქციის ცვლილებას, შესაბამისად, არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 აპრილის №4475152 გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „დემაქს დიღომის“ უარი ეთქვა

ქ. თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე კანონშეუსაბამოა, რის გამოც ბათილად უნდა იქნას ცნობილი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელი დაეთანხმა ადმინისტრაციულ საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

მოწინააღმდეგე მხარის, არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი არ დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და განმარტა, რომ სადავო აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, რის გამოც არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძვლები.

მოცემულ საქმეზე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გამოკვლევის შემდეგ, ადმინისტრაციული ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „დემაქს დიღომის“ დირექტორის ლევან შელიას ადმინისტრაციული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

უდავო გარემოებაა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 7 ოქტომბრის №2851134 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მარიამ გიორგაძის 2016 წლის 21 სექტემბრის №AR1442613 განცხადება და დადგინდა ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, გიორგი ბრწყინვალისა და ფარნავაზის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე №01.10.06.014.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ასევე, უდავო გარემოებას წარმოადგენს, რომ არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №3027355 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, გიორგი ბრწყინვალისა და ფარნავაზის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე №01.10.06.014.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული) არქიტექტურული პროექტი.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 იანვრის №3051283 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, გიორგი ბრწყინვალისა და ფარნავაზის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.06.014.001) მრავალფუნქციური კომპლექსის შეთანხმებული არქიტექტურული პროექის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. ამავე ბრძანებით მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 25 იანვრიდან 2019 წლის 25 აპრილის ჩათვლით.

უდავო გარემოებაა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 7 აპრილის №3189226 ბრძანებით ცვლილება შევიდა ამავე სამსახურის 2017 წლის 25 იანვრის

№3051283 ბრძანებაში და დამკვეთად შპს „მეგობრობის“ ნაცვლად დაფიქსირდა შპს „დემაქს დიღომი“.

ასევე, უდავო გარემოებას წარმოადგენს, რომ 2019 წლის 22 აპრილს ლევან შელიამ №AR1676262 განცხადებით მიმართა არქიტექტურის სამსახურს ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, გიორგი ბრწყინვალისა და ფარნავაზის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.06.014.001) მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით.

არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 აპრილის №4475152 გადაწყვეტილებით ლევან შელიას უარი ეთქვა ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ ვინაიდან კორექტირებული არქიტექტურული პროექტი ითვალისწინებს ახალი სართულის დამატებას +3,40 ნიშნულზე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მსგავსი სახით არქიტექტურული პროექტის ცვლილება არ არის დასაშვები და ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა უნდა დაიწყოს თავიდან.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების (შემდგომში - „№57 დადგენილება“) 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია კანონმდებლობით, მათ შორის, ამ დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში სათანადო წესით მიღებული მშენებლობის ნებართვა.“ ამავე დადგენილების 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად, გარდა 38-ე და 39-ე მუხლებით დადგენილი შემთხვევებისა, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. ამავე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვის I სტადიას წარმოადგენს ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა, II სტადიას - არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება და III სტადიას - მშენებლობის ნებართვის გაცემა.

№57 დადგენილების 46-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიას ამ დადგენილების შესაბამისად წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება. არქიტექტურულ - სამშენებლო პროექტის შეთანხმებისათვის ნებართვის

მაძიებელმა უნდა წარადგინოს არქიტექტურული პროექტი ან/და საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციული სქემა ან/და ტექნოლოგიური სქემა.“ აღნიშნული დადგენილების 47-ე მუხლი კი, განსაზღვრავს იმ დოკუმენტთა ჩამონათვალს, რომელსაც შესათანხმებლად წარდგენილი არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა უნდა მოიცავდეს.

საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ №57 დადგენილების 62-ე მუხლით გათვალისწინებულია მშენებლობის პროცესში განხორციელებული ისეთი სახის ცვლილებები, რომელთა არსებობა არ საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას. მითითებული დადგენილების 63-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „გარდა 62-ე მუხლში განსაზღვრული შემთხვევებისა, სამშენებლო დოკუმენტში ცვლილებების შეტანა საჭიროებს მშენებლობის ნებართვის თავიდან აღებას“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სამშენებლო დოკუმენტის იმგვარი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს შეთანხმებულ ობიექტზე ახალი სართულ(ებ)ის დაშენებას, ობიექტის განაშენიანების ფართობის ცვლილებას 20%-ზე მეტად ან ამ ობიექტის ფუნქციის ცვლილებას, აკრძალულია. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა დაწყებული უნდა იქნეს თავიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“

ზემოაღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ №57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია სამი ალტერნატიული პირობა, რომელთაგან ერთ-ერთის არსებობა გამორიცხავს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესაძლებლობას, კერძოდ, აკრძალულია სამშენებლო დოკუმენტის ისეთი ცვლილება, რომელიც გულისხმობს: 1) შეთანხმებულ ობიექტზე ახალი სართულ(ებ)ის დაშენებას; 2) ობიექტის განაშენიანების ფართობის ცვლილებას 20%-ზე მეტად; ან 3) ობიექტის ფუნქციის ცვლილებას. ამდენად, იმისათვის, რომ დადგეს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, სახეზე უნდა იყოს ამ ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობა.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ №57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს განიხილავს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაიცვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და/ან შესწავლილი

ადმინისტრაციული წარმოების დროს“. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე“, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.“

განსახილველ შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი ითვალისწინებს 6,1 მ სიმაღლის პირველი სართულის გატიხვრას და +3,4 ნიშნულზე სართულის დამატებას, რაც არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა №57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევად და საფუძვლად დაედო კორექიტრებული არქიტექტურის პროექტის შეთანხმებაზე უარს.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვერ გაიზიარებს არქიტექტურის სამსახურის ზემოაღნიშნულ არგუმენტაციას და აღნიშნავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაშენება განმარტებულია როგორც „შენობა-ნაგებობის ისეთი რეკონსტრუქცია, რომლის დროსაც სახურავის/გადახურვის მთელ პერიმეტრზე ან მის ნაწილზე, ვერტიკალური მიმართულებით ხდება მისი მოცულობით-გეგმარებითი განვითარება (ახალი სამყოფის, სათავსის, სადგომის და სხვ. დამატება).“ ამდენად, შპს „დემაქს დიღომის“ მიერ მოთხოვნილი კორექტირება, +3,40 ნიშნულზე სართულის დამატება, ვერ იქნება განხილული საპროექტო ობიექტზე სართულის დაშენებად, ამასთან, ადგილი არ აქვს არც განაშენიანების ფართობის ცვლილებას 20%-ზე მეტად და არც ობიექტის ფუნქციის ცვლილებას, რა შემთხვევაშიც, არქიტექტურის სამსახური უფლებამოსილი იქნებოდა უარი ეთქვა კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშნებლობის ნებართვის გაცემაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ ქალაქ თბილისის ტერიტორიის საზღვრებში არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვის ერთიან საჯარო ხელისუფლებას ახორციელებს არქიტექტურის სამსახური, რომელიც ვალდებულია აღნიშნული ფუნქცია განახორციელოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამდენად, იმ

პირობებში, როდესაც არქიტექტურის სამსახურში 2019 წლის 22 აპრილს შპს „დემაქს დიღომის“ მიერ წარდგენილი კორექტირებული არქიტექტურული პროექტი არ ითვალისწინებს №57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამი ალტერნატიული პირობიდან არცერთს, არქიტექტურის სამსახურის მიერ მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურის თავიდან დაწყების ვალდებულების დაწესება ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. შესაბამისად, საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ასკვნის, რომ მოცემულ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი, მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში უარი ეთქვა განცხადებაში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ 57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, წარდგენილი სახით არქიტექტურული პროექტის ცვლილება დაუშვებელია და საჭიროა მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურის თავიდან დაწყება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.“

საკითხის სრულყოფილად შესწავლის შედეგად, ადმინისტრაციული ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 აპრილის №4475152 გადაწყვეტილება კანონშეუსაბამოა, ვინაიდან გამოცემულია კანონის მიზნების უგულვებელყოფით, საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის გარეშე, რამაც გამოიწვია დაინტერესებული პირის კანონიერი ინტერესის დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ამდენად, არსებობს სადავო გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის I, IV, VI, XIII თავების, 60[1] მუხლის, 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მოთხოვნაა შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ბრძანებს:

1. დაკმაყოფილდეს შპს „დემაქს დიღომის“ დირექტორის ლევან შელიას 2019 წლის 10 მაისის №19/0119130634-01 ადმინისტრაციული საჩივარი;

2. ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 აპრილის №4475152 გადაწყვეტილება.
3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შემდეგ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი.
4. ბრძანების ასლები გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, დაინტერესებული პირის მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე